



გაზეთი გაეოღის  
1930 წლის 5  
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

# მაცნე

## სამტრედიის

N33 (9213)

30 ნოემბერი, 2016 წელი

ფასი 50 თეთრი



2

### სტიქიამ სამტრედიასაც შეუქმნა საფრთხე



თავშივე ვყვიროდით, შენობა  
უხარისხოდ იხურება-თქო

ცვლილება  
მუნიციპალიტეტის  
გამგეობის  
დეპუტატებში

3

### ახალი პოლიტიკური ფაზა საქართველოში

“საზაქირო  
ანის კულტურული  
საზომგეოგრაფიის  
ვილნევა და  
ვიმენევა”

4



5

### ლუკსემბურგით წვ სამტრედიული ნაწიხინუბუული მეხნეველუ ლაჯილუღეველა



8

### კომერციული ფაქტორი დამღუპველია კინო და თეატრალური ხელოვნებისთვის

„მხილოთღე მე ერითი ზაქევერისი მეზვერისი“

7

# სტიქიამ სამბრადიასას უზუჟინა საფრთხე

## კომიზანი ჩელიქი

ქარს ნაჩვევი სამბრადიელისათვის გასული კვირის რამდენიმე დღის სტიქია მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. შესაძლო საფრთხეებისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებობაში საგანგებო შტაბი შეიქმნა. მასში გამგებობის ოფიციალურ პირებთან ერთად საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამბრადიის სახანძრო-სამაშველო განყოფილებისა და შსს სამბრადიის რაიონული სამმართველოს უფროსები, ასევე, "ჯეოპოსპიტალის" მთავარი ექიმი, სხვა შპს-ებისა და ააიპ-ების პასუხისმგებელი პირები შევიდნენ.

მუნიციპალიტეტის გამგებობა ვალერიანე ფოცხვერიამ შეხვედრაზე დავალებები მისცა შტაბის წევრებს, პარალელურად მუნიციპალიტეტის გამგებობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის, ზურაბ გოგაის ინფორმაცია მოისმინეს ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

ქარმა ყველაზე დიდი ზიანი ლამა თევზაძის ქუჩაზე № 3-ში მდებარე საერთო საცხოვრებელ კორპუსს მიყენა, რომელსაც სახურავი გადახადა. ასევე დაზიანდა ჭავჭავაძის ქუჩის № 3-ში, ნინოშვილის ქუჩის № 2-ში, დაბა კულაშში, რუსთაველის ქუჩის № 40-ში არსებული მრავალბინიანი კორპუსების სახურავები. ძლიერმა ქარმა დაბის ახლად გარემონტებულ ადმინისტრაციულ შენობასაც შეუქმნა პრობლემა – მთლიანად გადახადა თუნუქის სახურავი. უმნიშვნელო დაზიანებას ჰქონდა ადგილი რამდენიმე საჯარო სკოლასა და საბავშვო ბაღში. ასევე, – მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში. ქარმა მოთხარა ხეები, წააქცია რამდენიმე ელექტრობოძი, ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა 8000 აბონენტს. სამბრადიასა და დიდ ჯიხაიშში მწყობრიდან გამოვიდა ბუნებრივი აირის გაყვანილობა და ა. შ.

“ამჟამად აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. ვიდრე სტიქია მძვინვარებდა, ამის საშუალება არ მოგვეცა. მთავარი იყო, უსაფრთხოების ზომები მიგვეღო. მადლობა მინდა ვუთხრა სამაშველო სამსახურსა და პოლიციას, რომლებიც გვერდით დაგვ

იდგენ. რომ არა მათი ჩართულობა, უფრო მძიმე მდგომარეობა გვექნებოდა”. – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ვალერიანე ფოცხვერიამ.

საერთო ზარალმა 100 ათასი ლარი შეადგინა. ყველაფერს მშენებლებს ვერ დავაბრალებთ, სტიქიას გაუთვალისწინებელი შემთხვევები ახლავსო, თქვა გამგებელმა, მაგრამ კითხვები მათ მიმართ მაინც აქვს. გადაწყვედა, ვიდრე საგარანტიო ვადა გასული არა აქვს, მშენებლები საკუთარი ხარჯებით მოახდენენ დაზიანების აღდგენას. დაბის ადმინისტრაციული შენობის თავიდან დახურვაზე უნდა იზრუნოს შპს “ლაშაშ” თუმცა, თვლიან, რომ მათ სამუშაოები წესის დაცვით შეასრულეს.

ზურაბ გოგაის განმარტებით: “მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელი

კორპუსების სარეაბილიტაციო სამუშაოები უმოკლეს დროში დამთავრდება. უკვე გაკეთდა ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე კორპუსი. მოცულობითი სამუშაოები აქვს ჩასატარებელი შპს “უნივერსალს” ლამა თევზაძის ქუჩაზე არსებული საერთო საცხოვრებელი სახლისთვის. ხოლო შპს “ამაგი” ჭავჭავაძის ქუჩის № 3 კორპუსს შეაკეთებს. დაბა კულაშში, რუსთაველის ქუჩაზე არსებული სახლის შესაკეთებლად კი მუნიციპალიტეტის გამგებობა სამინისტროს მიმართავს დასახმარებლად. როგორც ვალერიანე ფოცხვერია დასძენს, მისთვის მთავარი არა მარტო შენობების სწრაფი აღდგენა, არამედ სამუშაოების ხარისხიანად ჩატარებაა. ქარსაც რომ გაუძლოს და სხვა ბუნებრივ მოვლენებსაც.



## თავშივე ვევიროდით, შენობა უხარისხოდ იხურება-თქო

21 ნოემბერს, ნაშუადამევს ძლიერმა ქარმა ჭავჭავაძის ქუჩის 3 ნომერში მდებარე ოთხსართულიანი საცხოვრებელ კორპუსს სახურავი გადაადრო.

დღითი მოსახლეობა იხსენებდა, რომ საშინელი ხმაური შუადამისას, დაახლოებით 4 საათისთვის იგრძნეს. შეშინებულებმა საკუთარი ფანჯრებიდან შენიშნეს, თუ როგორ დავარდა ტროტუარზე ქარისგან მოგლეჯილი სახურავი, ხოლო ნაწილი კორპუსის წინა ფასადზე გადმოეკიდა.

ჭავჭავაძის ქუჩის 3 ნომერ სახლში მცხოვრები ვასო მიქაძე ამბობს, რომ დაძინებული ადამიანები ნგრევის ხმამ გამოაღვიძა: “ბუნებრივია, ღამის 4 საათისთვის ყველას გვეძინა. შუადამისას საშინელი ხმა შემოგვესმა და ფეხზე წამოვცვივდით. მივაღექით ფანჯრებს და დავინახეთ, თუ როგორ ეკიდა სახურავის ნაწილი შენობის წინა ფასადზე. ნაწილი ტროტუარზე ეგლო. შეშინებულები ვუცდიდით გათენებას. გვეგონა, ბინა თავზე ჩამოგვევარდა”.

სამბრადიაში ქარი 20 ნოემბერს ამოვარდა, 21-ში გვიან ღამით გაძლიერდა და ძირითადად, სახურავების დაზიანება გამოიწვია. საქმე რომ სტიქიასთან გვაქვს, ამას არავინ უარყოფს, თუმცა ჭავჭავაძის ქუჩაზე სახლის სახურავის ახდას მოსახლეობის ძირითადი ნაწილი უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებს უკავშირებს, რასაც ადგილობრივები დასაწყისშივე აპროტესტებდნენ.

მარინა შენგელა: “თავშივე ვევიროდით, რომ შენობა უხარისხოდ იხურება-თქო. არ დაგვიჯერეს, დააკვირდით ხის კონსტრუქციებს, არც ერთ ლურსმანს თავი არა აქვს ჩაკეტილი. უგულოდ არის შესრულებული სამუშაო. შედეგაც მივიღეთ. უნდა ვუჩივლოთ კომპანიას და მშენებლებს ავანზღაურებინოთ ზარალი”.

ჭავჭავაძის ქუჩის 3 ნომერი სახლის მარჯვნივ ქარმა მოთხარა მაღალი ნაძვი, რომელმაც გენო გეგეშვიძის ქუჩის გზის საგალი ნაწილი მთლიანად ჩახერგა. სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები ოპერატიულად მივიდნენ და წაქცეული ხე ნაწილ-ნაწილ ჩაჭრეს, რომ უპირველესად გზა გაეთავისუფლებინათ. საბედნიეროდ, ჭავჭავაძის ქუჩაზე სტიქიას მსხვერპლი არ მოპყლია.

# ახალი პოლიტიკური ფაზა საქართველოში

ლევან გაბაჩავა

“სახელმწიფოს მართვა თარზე დაკვრა არაა, თუმცა იოლი არც ისაა”.

არაბი ისტორიკოსი

**რა იმეება ხვალ?**  
აი, ამ კითხვის პასუხი ანტიერესებს ყველაზე მეტად დღეს ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, ყველას, ვისაც ქართველებისა და საქართველოს კეთილდღეობა, აღორძინება სურს.

უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენებით იყო აღსაყვანი წლებიანი შემოდგომა, რამეთუ სწორედ შემოდგომაზე ჩატარდა საქართველოში საპარლამენტო არჩევნები.

შედეგები ცნობილია. სასიამოვნოა, რომ დემოკრატიული საზოგადოებისათვის ასე თუ ისე დასაშვები ექსცესების გარდა წინასწარჩვენოდ თუ არჩევნებისას და შემდეგ ისეთი არაფერი მოხდა, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ათასობით მეთვალყურეს, მტერს თუ მოყვარეს ყელში რომ გაჩეროდით, სალაპარაკო, განსჯის ობიექტი რომ გაემხდარიყო.

რაც კარგია, კარგია. 21 ნოემბრიდან, ფაქტობრივად, ახალი დროის ათვლა დაიწყო საქართველოში, ყოველ შემთხვევაში, უნდა დაიწყო.

და მაინც, რატომ 21 ნოემბრიდან? ახალარჩეული პარლამენტის დაკომპლექტება: სპეკერის, ვიცე-სპეკერების, კომიტეტების თავმჯდომარეების, უძრავი ქონება-უმცირესობათა, ფრაქციათა ხელმძღვანელების დამტკიცება 18 ნოემბერს მოხდა.

ახალი შემადგენლობით ახალი პარლამენტის პირველი სამუშაო დღე 21 ნოემბერია.

ამ დღეებში წარადგინა მთავრობის განახლებული გუნდი პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა, რაც იმას, ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას ახალარჩეული პარლამენტი, მთავრობას განახლებული გუნდი უხელმძღვანელებს.

რაც იყო, იყო, გვახსოვს კარგად.

რაც არის, არის, ვხედავთ, ვგრძნობთ.

რა იქნება ხვალ? ვიმედოვნებთ, ახალი პარლამენტი, განახლებული გუნდი მთავრობისა, სიღრმისეულად გაითავისებს ელექტორატის მაღალ ნდობას, მათ ლეგიტიმურობას რომ ჩაუყარა მყარი საფუძველი და ძალ-ღონეს, ენერჯიას არ დაზოგავს მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის.

ვიმედოვნებთ, პარლამენტი და მთავრობა შეუქცევადი, კურსშეუცვლელი იქნებიან საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრინციპულ საკითხებში, კვლავ გააგრძელებენ ძალისხმევას ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციისათვის, წამყვან სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობებით რომ იქნება გამოხატული.

ვიმედოვნებთ, გაჩნდება მეტი სამუშაო ადგილი, გაჩნდება მეტი დასაქმებული, მაშასადამე, იმედია დაამიანებო.

ვიმედოვნებთ, ქვეყნის ამერიკის დაამშვენებს თანამედროვე კომუნიკაციის შესაფერისი განათლებისა და კულტურის კერები, ჯანდაცვის ობიექტები, ბაღები და სკვერები, დასაქმდებიან ახალგაზრდები, მოხდება წინა პარლამენტის მიერ მიღებული მთის კანონის რეალიზება და იგი ხილვადი, საგრძნობი იქნება ყველასთვის, ვინც ერთგულ მეციხოვნედ ჩამკვიდრებულა ჩვენი ქვეყნის მთიანეთში.

ვიმედოვნებთ, წარსულს ჩავაბარებთ: ურთიერთდაპირისპირებას,

შუღლს, ღვარდს, გაუტანლობას... სახადივით რომ ვერ მოვიმორეთ ბოლო წლებია.

ვიმედოვნებთ, შევძლებთ უნუგემოთათვის ნუგემის მიცემას.

დაცემულის წამოყენებას. დროებით დაკარგული აფხაზეთის დაბრუნებას.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

ჩრდილოელ მქობელთან საერთო ენის მოძებნას, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების საბაბი რომ იქნება ყოველივე.

შევძლებთ, მეტად, ვიდრე მანამ მოუხმინოთ თანამედროვეობის ყველაზე დიდ ქართველს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, გავითავისოთ მისი უწმინდესობის ბრძნული შეგონებები.

არ გამოვიყენოთ ეკლესია, სასულიერო პირები პოლიტიკური სპეკულირებისათვის.

მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა, ტოლერანტობა, ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ისტორიული წარსული გვაავალებს ამას და პასუხისმგებლობა – პასუხისმგებლობა ამომჩველისა და ხალხის წინაშე, მსოფლიოს წინაშე.

ახალარჩეული პარლამენტი, მთავრობის განახლებული გუნდი ჰყავს საქართველოს...

მამ ასე, ახალი დროის ათვლა, ახალი პოლიტიკური ფაზა დაიწყო საქართველოში, ნიშანდობლივია იქნება, ყოველივე 21 ნოემბრიდან რომ იწყება.

21 ნოემბერს მთავარანგელოზობას აღნიშნავს ეკლესია... რა იქნება ხვალ?



## ცვლილება მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებაში

6060 ნაწილად

28 ნოემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. უძრავი ქონების მხარდაჭერითა და საკრებულოს გადაწყვეტილებით მესამედ გაიმაართა ელექტრონული აუქციონი სამტრედიის რესპუბლიკის ქუჩა № 66-ში მდებარე 3418 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული ორი შენობა-ნაგებობის გასხვისებაზე. საწყისი ფასი ამ ეტაპზე 50 000 ლარია.



ამ საკითხმა გულგრილი არ დატოვა საკრებულოს ოპოზიცია. მათი განცხადებით, ქალაქში ცენტრალური ნაწილისათვის ზემოაღნიშნული თანხა მცირეა. არგუმენტირებული პასუხი უშუალოდ მამუკა ბიბილიაშვილსა და ზურაბ ზაქარაიძეს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის უფროსმა, ნოე ივანიამემ გასცა: “პირველ ჯერზე 138 000 ლარს შეადგენდა, არ გაიყვანა შენობა, დაიწია ფასმა. მეორე ჯერზე ღირებულებამ 100 000 ლარი შეადგინა, უძრავი ქონება არც ამ შემთხვევაში გაიყვანა. მესამე ეტაპზე 50 000 ლარი გახდა. როგორ განვითარდება მოვლენები, ამას აუქციონი გვიჩვენებს”.



ახურის დებულებაში ცვლილებას, შესაბამისად კენჭი ეყარა და მიღებული იქნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის № 2 განკარგულებით დამტკიცებული სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამშტატო ნუსხაში ცვლილება.

“სამტრედიის მაცნეს” ინფორმაციით ახალი განყოფილების უფროსად მოიარბება ავთანდილ ნაცვლიშვილი, რომელიც დღემდე ინფრასტრუქტურის სამსახურში მთავარი სპეციალისტი იყო. მთავარი სპეციალისტის ადგილი ვაკანტურია საკონსულტაციო წესით მოხდება კანდიდატის შერჩევა.

28 ნოემბრის საკრებულომ განიხილა საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ. ინფრასტრუქტურის სამსახურში ახალი, სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილება შეიქმნა, რასაც მოჰყვა შესაბამისი ცვლილება დებულების, მე-11, მე-12 მუხლებში. საკრებულოს უძრავი ქონებამ აღნიშნულ საკითხს მხარი დაუჭირა.

საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს ინფრასტრუქტურის სამს-

## უკლოგიურად სუფთა პროდუქტის გარანტი

აჩქარებს ფიზიოლოგიურ პროცესებს მცენარეებში, ბიოლოგიურს – ნიადაგში. ცვლის მჟავიანობას, ფანგვა-აღდგენით პროცესს ნიადაგში.

აგროეებს ორგანულ ნივთიერებებს, ორგანო-მინერალურ მკვებებს, ამინომკვებებს. ათავისუფლებს, შლის და ლოკალიზებას უკეთებს ნიადაგში დაგროვილ ფორებთან დაკავშირებულ ტოქსიკურ ნივთიერებებს, რომლებიც შეადგენენ პუმუსის წარმოქმნის საფუძველს...

რაც მთავარია, მოსავლიანობა იზრდება 20-25%, იზრდება აგრეთვე ნაყოფის ზომა და რაოდენობა, მცირდება მომწიფების ვადები...

ასეთია სასუქ “ბაქტოფერტის” მახასიათებლები.

რაც შეეხება სასუქ “ჯეოკომპლასტ” (მარკა “ა” თხევადი, 12%-იანი) მისი გამოყენების შემთხვევაში ძლიერდება მცენარის ფესვწარმოქმნა. ჩქარდება ცილოვანი ცვლა, რასაც თან ახლავს მცენარეთა ზრდის გაძლიერება. სასუქის გამოყენებისას მოსავლიანობა 15-20% იზრდება.

21 ნოემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების (სასუქების) პრეზენტაცია გაიმართა, შეხვედრა კომპანიის წარმომადგენელს ბატონ გიორგი ბერეკაშვილს მიჰყავდა. მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლები შეკრებილ ფერმერებს სასუქების გამოყენების უპირატესობაზე ესაუბრნენ და დაინტერესებულთა კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცეს.

თავად ფერმერებმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლებმა მსგავსი შეხვედრების აუცილებლობას გაუსვეს ხმა.

ლევან გაბაჩავა



ბიორაიონალური ბაქტერიოლოგიური მემბანარეოზი



# თუბტუბით 63 სამტრედიო წარჩინებული მოსწავლე დაჯილდოვდა

6060 ნაწილაკი

18 ნოემბერს, ქალაქ ქუთაისის, პირველ საჯარო სკოლაში დაჯილდოვდნენ სამტრედიის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წარჩინებული მოსწავლეები, რომლებმაც საბაზო საფეხური ყველა საგანში 10 ქულიანი შეფასებით დაასრულეს: პირველი საჯარო სკოლა – კონსტანტინე ზუჭუა; მესამე საჯარო სკოლა, 9 მოსწავლე – მაკა ამბლოძე, ანანო არველაძე, ნიკო ბაზტაძე, ია ვაშაძე, ნინო თევზაძე, გიორგი ურუმაშვილი, ნინო შანიძე, ლუკა გვგეშიძე, ავთანდილ უჯმაჯურიძე. მეორე საჯარო სკოლა, 5 მოსწავლე – ნინო კვეციანი, ლაშა ჩანუა, მარიამ ქუთათელაძე, ნიკოლოზ მეიშვილი, მაია კონდრაშვილი. მეშვიდე საჯარო სკოლა, 2 მოსწავლე – რუსუდან ჩემია, ასმათ ქანთარია. მერვე საჯარო სკოლა, 3 მოსწავლე – მარიამ ამბლოძე, ანასტასია ხარებავა, რეზო ზუჭუა. მეცხრე საჯარო სკოლა – ვიტალი შენგელია. მეათე საჯარო სკოლა, 5 მოსწავლე – გიორგი ზამთარაძე, ვახტანგ ლისენი, მაია ფოცხველიძე, თამა ჩხაიძე, მარიამ ჯულაიძე. მეორეთმეტე საჯარო სკოლა, 11 მოსწავლე – მარიამ ბიბილიაშვილი, მარიამ კალაძე, ანზორ კობრიაძე, ჯემალ რუხაძე, აკაკი ნინუა, ანი თევზაძე, ლანა ქართველიშვილი, ანი ბაზტაძე, ანა შალამბერიძე, ელენე ხაბალაშვილი, გიორგი ვითოშია. მეორეთმეტე საჯარო სკოლა, 14 მოსწავლე – ჯემალ ადგიშვილი, ქეთევან არველაძე, შოთა ბარდაველიძე, ქეთევან პაღდავაძე, გივი ბეჭია, თათია გაგუა, ზაურ ინასარიძე, გიორგი კობრიაძე, ნინო მამფორია, საბა მაჭარაძე, საბა მიქელაძე, გიორგი სულაქველიძე, ანი ფრანგიშვილი, თამთა ზუჭუა.

სოფელ დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლა, 4 მოსწავლე: მიხეილ ლეჟავა, მეგი კაპიშვილი, საბა ინაური, ნინო დარსაველიძე. გიორგი ნიკოლაძის სახელობის დიდი ჯიხაიშის საჯარო სკოლა, 3 მოსწავლე – ბექა ვაშაკიძე, ელენე მელქაძე, ზურაბ შუბლაძე. სოფელ ნაბაკეის საჯარო სკოლა – დავით ჯოჯუა. სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლა, 4 მოსწავლე – მარიამ ჩახოიანი, ვლადიმერ კობალიაშვილი, დემურ კლარჯიანი, ლუიზა ჩხაიძე. სულ 63 მოსწავლე დაჯილდოვდა.



ტეტის სკოლები ზესტაფონში, ხოლო ოთხი მუნიციპალიტეტის სკოლები ქუთაისში დაჯილდოვდნენ. წილად მხვდა, მიმენიჭებინა სიხარულის განცდა იმერეთის მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის”.

პირველ საჯარო სკოლაში შეკრებილეს მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ბადრი ვაშაკიძემ, ქალაქის მერმა, შოთა მურდულაიამ.

ბადრი ვაშაკიძე: “პირველ რიგში, გილოცავთ მოსწავლეებს, პედაგოგებს, დირექტორებს იმ მიღწევას, რაც 9 წლის განმავლობაში დააგროვეთ, რაც დღეს ასე აღინიშნება ძალიან კარგი საჩუქრით. ვარ ბედნიერი იმითაც, რომ იმერეთი საქართველოს მასშტაბით ლიდერია და მათ შორის ქუთაისი განსაკუთრებულად წარმოჩნდა. უულოცავ ყველას ამ დიდი მიღწევას”.

შოთა მურდულაია: “მინდა, მადლობა გადავუხადო ახალგაზრდებს, სკოლებს, რესურსცენტრის ხელმძღვანელებს, ყველა იმ ადამიანს, რომელთა მონაწილეობის შედეგად მივიღეთ იმერეთის რეგიონში ამდენი წარმატებული მოსწავლე. ვიცი, რა დიდი შრომა დევს ყოველივე ამასში”.

ქუთაისში დაჯილდოვდნენ ქუთაისელი, ხონელი, წყალტუბოელი და სამტრედიელი ახალგაზრდები. სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან იმითაც გამოირჩა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ დრო გამოიხარა და მოწინავე ახალგაზრდებთან და ადგილობრივ რესურსცენტრის თანამშრომლებთან, ალექსანდრე თევზაძესთან და ელიზა ცხვირაშვილთან ერთად მონაწილეობა მიიღო ლეპტოპების საზეიმო გადაცემაში.

ვალერიანე ფოცხვერია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი: “იმერეთი რომ გამოჩნულია ამ კუთხით, ძალიან მახარებს. სამტრედიის იმერეთში ასევე ერთ-ერთი გამოჩნულია, ჩვენმა 63-მა მოსწავლემ საჩუქრად მიიღო ლეპტოპი, ეს ცოტას არ ნიშნავს. მივესალმები ამ კარგ პროექტს, ჩვენი მხრიდან მომავალშიც იქნება აქტივობები. მადლობას ვუხდით მშობლებს, სკოლებს, მასწავლებლებს და განსაკუთრებით ბავშვებს იმ დიდი შრომისთვის, რაც მათ 9 წლის განმავლობაში გასწიეს და ამ თავდადებას უკვალოდ არ ჩა-

უვლია”.

ალექსანდრე თევზაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი: “მოხარული ვარ, რომ სამტრედიის ბოლო წლებია, რაოდენობა მოსწავლეების, რომლებიც წარჩინებით ამთავრებენ 9 კლასს, საბაზო საფეხურს, სტაბილურად მრავალრიცხოვანია. შემძლია, თამამად ვთქვა, რომ ქუთაისის შემდეგ მეორე ადგილზე ვართ, ეს საკმაოდ დიდი წარმატებაა. მე მინდა, მიუვლოცო

სამტრედიელ მოსწავლეებს ეს მიღწევა და ვუსურვო მომავალშიც წარმატებები. ეს პროექტი რამდენიმე წელია, ხორციელდება და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის ამაღლებას”.

ლუკა გვგეშიძე, მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლე: “მადლობას ვუხდით ყველას, პირველ რიგში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, მესამე სკოლის ყველა პედაგოგს და რაც მთავარია, დირექტორს, ვენ-

ერა ივანიშვილს, იმისთვის, რომ მათ ჩვენი შრომა დააფასეს. ბედნიერი დღე გვაქვს, ასეთი წამახალისებელი საჩუქარი კარგია ჩვენი მომავალი სწავლა-განათლებისათვის”.

დაჯილდოვების ბოლოს სამტრედიელმა ახალგაზრდებმა სამხსილო ფოტოები გადაიღეს მუნიციპალიტეტის გამგებელთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებთან ერთად.

## ბექა ფოცხვერია ტრენერის ამხუაში

**ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (სპეციალობა – სამართალი) მესამე კურსის წარმატებულ სტუდენტს, ბექა ფოცხვერიას წარდგენა უკვე არ სჭირდება. მეთხველმა იგი ლაშაში ლექსებითა და სხვადასხვა პროგრამებში აქტიური ჩართულობის შედეგად მიღწეული წარმატებებით გაიცნო. დაგვირდით ერთხელ მეთხველს, “სამტრედიის მაცნე” ბექას ყოველ ახალ წარმატებას მიულოცავს-თქო და...**

“სტუდენტთა საერთაშორისო დღე” აღინიშნა ამ დღეებში, ბექასაც შეეხებინათ და არცთუ უსაფუძვლოდ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) პრაქტიკული სამართლის სწავლების პროგრამას ახორციელებს, რომელშიც ჩართულნი არიან სამართალმცოდნეები, მაგისტრანტები, მოწინავე სტუდენტები.

პროექტის ფარგლებში საჯარო სკოლებში ტარდება თორმეტკვირიანი კურსი (კვირაში ერთი დღე).

შესაბამისი პროცედურების გავლის შედეგად, ბექამ მოიპოვა უფლება, ტრენერის ამპლუაში საჯარო სკოლაში ჩაატაროს თორმეტკვირიანი კურსი.

მშობლიური რაიონი ავირჩიე იმთავითვე. რაც შეეხება სკოლას, განაცხადი სამტრედიის მე-12 საჯარო სკოლამ გააკეთა, ბექამ. ამდენად, ამ სკოლაში გაუძღვება იგი 12 კვირიანი კურსი.

“რა არის საკუთრება?” – ეს გახლდათ პირველი შეხვედრის თემა, რომელმაც ბავშვებში დიდი ინტერესი გამოიწვია, აბსოლუტური დასწრება იყო. თავად პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ბავშვების ცნობიერების ამაღლებას გამოყენებულ სამართალში და სტუდენტებში ტრენერებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებას. – გვითხრა რესპონდენტმა, რომელსაც, როგორც მომავალ სამართალმცოდნეს, მოკრძალებული, თუმცა, გონივრული სამომავლო გეგმები აქვს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამტრედიის მე-12 საჯარო სკოლის პარალელურად ბექა ქუთაისის მე-17 სკოლაშიცაა დაკავებული ამავე პროგრამის ფარგლებში.

წარმატებებს ვუსურვებთ ბექას სამომავლოდ. მას და მისი სახით ყველა სტუდენტს დაგვიანებით, თუმცა, კეთილი სურვილებით ვულოცავთ სტუდენტთა საერთაშორისო დღეს.



ლევან ბაგრაძე

# “მსოფლიო გზის ბეჯახე ზედათა ზედათა ზედათა”

ნათია ნაცვლიძე

ეს საუკუნეც ეუბნება და აღბათ კიდევ მრავალი ეტყვის: “მატონი ვალაქტონი, თქვენ პირველი ხართ”. თავადაც ხომ იწინასწარმეტყველა: “ოპ, ჩემი სული ბევრს დაიმონებს”. ეს ქალაქიც ხომ უძვირფასესი იყო მისთვის “წინათ ბორბლები, დიდიფანსების გაიძახოდნენ: ტობა! საინო! ახლა კი მინდა უწარმავარი შენში ქალაქი აღმოვჩინო!” სამტრედიანზე, მრავალი ლექსია, მაგრამ ვალაქტონისეულს ვერცერთი შეგვრება, ისევე როგორც თავად პოეტების მეფეს. ამ ბუმბერაზის სულითან ზიარების, პოქითი აღმადრენის კიდევ ერთი ლამაზი ლიტერატურული შეხვედრა ასევე ლამაზ სალონურ სივრცეში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა, ეს ხომ ის სახლია, რომლის კედლებშიც ქრისტიანული რწმენა, პატრიოტიზმი და თავისუფლების სული ბობოქრობდა მამინაც კი, როცა ფორმაციას კომუნისტური, სახლს კი – ბიონერთა ერქვა სახელიად.

ელიკო ანკვების ხელმძღვანელობით ამ სახლის მოსწავლეთა პარლამენტის წევრებმა მე-3, მე-4, მე-6, მე-12, გომის, ნაბაკევის საჯარო სკოლების, “ცოდნის” მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გაგვიცოცხლეს ვალაქტონი, თუმცა, არა მარტო მოსწავლეებმა. ვალაქტონის გენია ხომ თანაბრად ბობოქრობს ყველა ქართველში, ვალაქტონი ჩვენს არსებობაში, მუდამ და მარადგამს, მამინაც კი, როცა, მისი წიგნი არ გვიპყრია ხელით, ის ჩვენს მარჯვნივ, ნერვშია... სახლის დირექტორი, ტატა გოგუაძე, პედაგოგებთან ერთად შეუერთდა ვალაქტონის ლექსებით ამ ლამაზ საღამოს.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მაგიდა, ძველი საათი, ამჯერად დროის უსასრულობის მანიშნებელი, ძველი სკამი... და ეს სიძველე შერწყმული

თანამედროვეობასთან, სიძველე – ანთებული უფროსკლასელთა თვალბეჭდით მოიაფე პოეტური ცეცხლით. – “ავადმყოფ გულს სურს, რომ მას ოცნების თეთრ ანგელოზად ევლინებოდეს...” “მედიფასო, სული მევესება თოვლით, დღეები რბიან და მე ვბერდები”, “იცის, იცის მესაფლავემ, როგორც უნდა, როგორც ხდება...” ერთმანეთს ენაცვლებიან ვალაქტონის ლექსები, საუკუნეთა ლაბირინთებში მისი “ლურჯა ცხენებივით” რომ გაჭენდებიან... და



ქართველ კლასიკოსთა ლექსების კაცად ისევე ვალაქტონზე... “ერთი ორი სხვაც იყო, ვინც ქვეყნისთვის იბრძოდა, მაგრამ ვისაც მარხავდა, საქართველომ იცოდა...” ვალაქტონის ლექსი კიდევ ერთხელ აქცია მუსიკად კომპოზიტორმა ნონა ჭანჭავაძემ და პირველად აქედან საღამოზე, ლექსს და სიმღერას ცეკვაც შეუხამეს და ბოლოს... პოეტების მეფე თავად მოიჭრა მისეული “შთაწმინდის მთვარით” და უფროვე გაირინდა დარბაზი, დაიმქუხარა ვალაქტონმა: “რომ მეფე ვარ, და პოეტი, და სიმღერით გვედები...”

ლიტერატურული საღამოს მონაწილეებს შეემლოთ, თავიანთი შთაბეჭდილებები საგანგებო დაფაზე აღებუქდათ, რომელსაც ამ სახლის ისტორია შემოუნახავს შთამომავლობას.

თუკი მსგავს საღამოებს ესწრება, ღეკანობი



ანტონ ვაშკიძე, დანაშაულია მას არ სთხოვო ორიოდ სიტყვის თქმა, მოეუხმინოთ მოძღვარს:

“ვიცო ვალაქტონი, ეს გამოხატულია ჩემი აზრით მის სახელში, ეს არის სახელი, რომელსაც გვარის, როგორც სამოქალაქო

მარადისობისაკენ, უკვდავებისაკენ გაესტყორცნა. მაღლობა ამ ვეკლავისთვის, ვისურვებდი, მისი სულის, მისი აზრების მეტყველად შესემნოდეს თანამედროვე საქართველოს!”

“სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა:

“კეთილი ინტრიგა” – ასე შეიძლება შევაფასოთ მოსწავლეთა პარლამენტის წევრთა სტუმრობა ჩვენს რედაქციაში. თუ ვალაქტონი გიყვართ, მობრძანდითო, როგორ შეიძლება, საქართველოში ვალაქტონი ვინმეს არ უყვარდეს? ბოლო 2 წელია, ვინმე, ვალაქტონობას ვერ დავესწარი და დღევანდელმა დღემ ეს ვაკუუმი შემავსო. განსაკუთრებული მადლობა მინდა გითხრათ იმისთვის, რომ ქართულ სიბრძნეს, ჭეშმარიტებას გაესვა ხანი: სწავლა სიბერემდე. ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომ ვალაქტონის ერთ-ერთი უცნობილესი ლექსი “შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და ვალაქტონი...” პოეტმა ახლობლებთან სტუმრობისას სამტრედიამ პირველად წაიკითხა...”

საღამო დასრულდა, ყველა ჩვენგანის წილი ვალაქტონი ისევ ბობოქრობს ჩვენში:

“ველი... ვეღარ გადარჩეს დროთა ძველთა დუღილი. ეს ვთქვი, ესხა დანარჩენს იტყვის ჭეჭა-ქუხილი”...

## ამლახეხეხი პოეზია

**პეტრე ბაგრატიონი გრუზინსკი XX საუკუნის გამორჩეული პიროვნებაა მისი უდიდებულესობით, უბადლო ნიჭითა და ნათელი გამომეტყველებით, სხივმოფენილი პოეტური ქმნილებებით, რომელთა დიდი ნაწილი სიმღერადაა ქცეული. მისმა ღირსეულმა მეტყვიდრემ პატონმა ნუგზარ ბაგრატიონმა, რომელიც ხშირად სტუმრობს სამტრედიას თავისი უახლოესი მეგობრის, ჩვენი საამაყო შეილის, ცნობილი მსახიობის დავით კვიციანიას ოჯახში, – ახლახან გამოსცა სახელოვანი მამის ახალი კრებული (ლექსები, პოემები, მინიატურები, სასიმღერო ლექსები, ნათარგმნი ლექსები). მემაცება, რომ ჩემი წიგნის თაროს კვლავ შევმატა პეტრე ბაგრატიონი გრუზინსკის ახალი კრებულის მეორე გამოცემაც.**

საინტერესოა პეტრე ბაგრატიონი გრუზინსკის პოეტური სამყარო – უმღერის თბილისს, სივრულს, ქალს, მეგობრებს, მოგრძალებით და განსაკუთრებული სიყვარულით ეხმინება დედას!  
“დავიღალე, დედა, გესმის...  
გადამისვი თავზე ხელი,  
მინდა, ისევე ბავშვი ვიყო  
ჯიუტი და უღარდელი...”  
მის ლექსებში იყითხება მძაფრი სულიერი გან-

ცდები, სევდამეპყრობილი ხშირად სულიერ ტკივილებსაც გვანდობს. მას ტვირთად აწევს “მოუსვენრობა გარდასულ დღეთა”.



კრებულში შეტანილია პოეტის 85 ლექსი, რომლებიც ცნობილ, ქართველ კომპოზიტორებს აუქმდებოდათ. ეს სიმღერები მსმენელთა დაუვიწყარ მელიოდებად იქცა: “სიმღერა თბილისზე”, “ყური უგლე საქართველოს”, “გაზაფხულა, აყვავილდა ნუში...” “მე რა მამღერებს, უძირო ზეცა...” “სადაც გინდა, იქ ილოცე”, “კვლავ მადლიანად ანათებს...” “შემირიგდი”, “სუსტი გულის პატრონი ვარ” და მრავალი სხვა.

პოეტური კრებული ხალასად, სიყვარულითა და ნატიფი ფერებით გადმოგვეცემს პოეტის გული-სიქმას.

სამტრედიელებმა კარგად იციან, რომ პატონი პეტრე ბაგრატიონი გრუზინსკი სამტრედიანზე დაწერილი ერთ-ერთი ლექსის ავტორია, რომლის ტექსტზეც ცნობილია კომპოზიტორმა დავით თორაძემ დაუვიწყარი სიმღერა შექმნა:

“სხვაგანაც ხომ მზე ანათებს, ცა სხვაგანაც ცისფერია, მაგრამ ასე არასოდეს, არავისთვის მიმღერია!  
...აქ შრომაც კი სიმღერაა, მხიარული, სახალისო, მტრედის ნათელი ქალაქი სხვაგან კიდევ სად არისო. სამტრედია, სამტრედია, სასიმღეროდ გასალექსო!  
შენ მტრედებმა დაგანათლეს ეს სახელი სააღერსო...”

ეს სიმღერა 1960 წლის ოქტომბერში საქართველოს მხატვრული თვითმომქმედების IX რესპუბლიკურ ოლიმპიადანზე სამტრედიის სიმღერის თვი-



თმოქმედი ანსამბლის მიერ პირველად შესრულდა (სოლისტები თამარ ისერეიშვილი, ბადრი რობაქიძე, ცისანა ნიგურაძე), სიმღერამ დღემდე შეინარჩუნა თავისი პოპულარობა.

ასევე ლექსი “სამტრედიას”, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულმა, თანამემამულე მსახიობმა ეროსი მანჯგალაძემ, ამავე ოლიმპიადანზე ჩვენი რაიონის მხატვრული თვითმომქმედი კოლექტივების გამოსვლის წინ წაიკითხა, პოეტ პეტრე გრუზინსკის მიერ ბატონი ეროსისთვის სპონტანურად დაწერა სამტრედიამ, სხვათა შორის, კულტურის განყოფილების ყოფილი გამგის ბატონ გივი მურღულიას ოჯახში. ლექსი სიყვარულითა და განსაკუთრებული შთაგონებითაა დაწერილი:

“ეს ის ქუჩაა, ის ქალაქი, ის ხეივანი, იქნება შევცდი?! უცხო მხარის გაეხდი ხიზანი?!”

როგორ შეცვილიხარ, სიყვარული ქალაქი ჩემო, მაპატიე, თუ ერთის ნახვით ვეღარ გიცანი! მე აქ ოდესმე მირბენია ვიწრო ქუჩებში, დღეს კი მხვდებიან ჩრდილიანი ფართო ქუჩები.

სამტრედიას? იტყვენულად კითხულობს გული, დახე, ის არის, დაუჯერე, ნუ ეურჩები! ის არის, მაგრამ სულ სხვა ლაზნით სულ სხვა იერით, მხოლოდ ზღაპარში თუ იხრდება ქალაქი ასე, დედა, ვით სასიძო ახალ ჩოხაში, სტუმართმოყვარე, იმერული ზრდილობით სავსე.

მამ, ეს ის ცაა, ის ქალაქი, ის ხეივანი, მე არ შევმცდარვარ უცხო მხარის არ ვარ ხიზანი,

მამ გამარჯობა, სიყვარული ჩემო ქალაქო და მაპატიე, ერთის ნახვით თუ ვერ გიცანი!”  
სასურველია, მომავალში განმეორებით გამოცემულ პეტრე ბაგრატიონი გრუზინსკის ახალ კრებულში ეს ლექსები ვიხილოთ. სამტრედიელებმა კი პატივი უნდა მივაგოთ ჩვენს მშობლიურ ქალაქზე დაწერილი ლექსებისა და სიმღერების ავტორებს, არ დაგვაფიქვდეს, რომ ერთ-ერთი საპატიო მათგანი პოეტი პეტრე ბაგრატიონი გრუზინსკია.



# კომარსიული ფაქტორი დაიფუხვია კინო და თეატრალური ხელოვნებისთვის

## მე ისევ მიყვარს ოსნილი რა სამყაროა...

### თმა გავსაუფლებო

ეს ინტერვიუ მართლაც სახელდასმელია. ის შემთხვევით, ერთი საღამოთი მასალის ძებნაში შევსრულე რომ ვამოძიებდი ხელს. სანდრო მიუჩინებდა ღია მერაბ სტურუნი მასთან, ოჯახში სტუმრობისას "მიმაგებინა". საუბრის თემა სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა ქართული კინო და თეატრალური ხელოვნება. დასვენება ერთია, მიუხედავად ზოგიერთ საკითხზე აწრთა სხვადასხვაობისა, ახალი თაობის მოსაზრებები ფუნდამენტალურად ემთხვევა მათი წინამორბედი ცნობილი მსახიობების შეხედულებებს. ამის თქმის საშუალებას მედიაში ვაგრძელებული სხვადასხვა ინტერვიუს მსგავსად, ჩვენს ვაზეთში ბატონი ვქმალ ღალანისა და კრიტიკოს ნიკა წულუკიძის ინტერვიუებიც ვგაძლევს. ისინი სამტრედიაში თითქმის ყველა ჩამოსვლისას სტუმრობენ ჩვენს რედაქციას, უკვე როგორც მეგობრები.

მსახიობი ჩქარობდა, თორემ სასაუბროს რა დაღვევდა. თუმცა, რამდენიმე საკითხს მინც შევეხ-

ეთ კინოსა და თეატრალური ხელოვნების თანამედროვეობიდან. გარდა ამისა, იმაზეც, რომ ვქმალ ღალანისი შვილიშვილისთვის სამტრედია და კერძოდ, სოფელი ღანი დედუღეთია. ბაბუსის მსგავსად, მისი დამოკიდებულება ამ სოფლისადმი პირველივე სიტყვებიდან ნათელია. თანასოფელის, დიდი ერთი მანჯგალადის "შერქმეული ღანიისკი" ჩემთვის სიტყვით ყველაზე დიდი გამოვლინებააო, ვქმალ ღალანიძემ. სანდრომაც დაადასტურა, რომ ღანილობა არასდროს ავიწყდება მათ ოჯახში, მეტიც, წინაპართა ამ სოფელს მისი ბავშვობის საუკეთესო მოგონებები უკავშირდება.

სახელდასმელია-თქო, თავიდანვე გითხარით, ამიტომ ბევრ საკითხს ვერ შევხვით, ბევრი ვერ ვისაუბრეთ. მოკლედ ნათქვამ გრძელ სიტყვად მიიღეთ ეს საკითხავი იმის იმედით, რომ შემთხვევა, ჩვენი ვაზეთის ფურცლებიდან მეტი ვაგვიფოთ დიდი ბაბუსის ნიჭიერ შვილიშვილზე, ისევ მოგვეცემა.

გამოგვჩვენე, არ ჩამოვთვლი იმ ცნობილ სახეებს ქართული კინოსა და თეატრალური ხელოვნებისას. თქვენი აზრით, რაში იყო მათი ესოდენ დიდი წარმატების საიდუმლო, უფრო სწორად, გარდა ნიჭიერებისა, შეუწყო თუ არა მათ ესოდენ დიდ პოპულარობას ხელი სხვა ფაქტორებმა?

— დაახ. მათ, ფაქტობრივად, ეპოქა შექმნეს! მაგრამ აქვე ისიც, რომ მათ ამაში ძალიან შეუწყო ხელი დრომ. ვთვლი, რომ მათნაირები, ალბათ, აღარ დაიბადებიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნიჭიერი და ძალიან ნიჭიერი თაობა არ ჩანს ხელოვნების ამ სფეროში.

— ჩვენს ვაზეთთან საუბრისას, ბატონი ვქმალის აზრით, მასხოვს ესოდენ მომრავლებულ თეატრებთან დაკავშირებით, იგულისხმება სხვანი, სარდაფი და ასე შემდეგ. სულ რამდენიმე აკადემიური თეატრი არსებობდა იმ დროს, როცა მართლა ეპოქა შეიქმნა. რა მოუტანა თეატრების ამგვარმა სიმრავლემ თანამედროვე ქართულ თეატრს? ხომ არ გეჩვენება, რომ აკადემიური თეატრებისგან განსხვავებით, ასე "ყველას" ეძლევა სცენაზე დგომის საშუალება?

— მე ცოტა სხვანაირად ვუყურებ ამ საკითხს და ჩემი აზრით, ეს კარგიც არის. ზემოთაც აღვნიშნე, რომ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ჰყავს თანამედროვე ქართულ თეატრალურ ხელოვნებას, მაგრამ ისინი ამ ცნობილი თეატრების კარს მიღმა არიან დარჩენილები. არადა, გულწრფელად უყვართ ეს პროფესია. რაც უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ საკუთარი თავის გამოვლენის, თავად ქართული თეატრისთვის იქნება უკეთესი. თეატრალურში ყოველწლიურად აბარებს და ამთავრებს მინიმუმ 30-35 მსახიობი. ხომ სჭირდება მათ ასპირენტი? აქ გასათვალისწინებელია კომერციული მხარე. საერთოდ, ვთვლი, რომ კომერციულმა დამოკიდებულებამ ბევრი რამ ცუდად შეცვალა, ეს ფაქტორი დამუბავს კინო და თეატრალური ხელოვნებისთვის. დარე ხელოვნების პოპულარობაცაა სწორედ ამ ფაქტორის დამსახურება!

— ასე არა მხოლოდ ამ სფეროშია! აბსოლუტურად გეთანხმებით. ჩვენს ვაზეთთან საუბრისას ნიკა წულუკიძემაც იგივე გაიმეორა, რომ კომერციული ფაქტორი ხელს მნიშვნელოვნად უშლის ქართული კინოხელოვნების ხელოვნების ვაზი სვლას, თუმცა, მისი აზრით, თეატრსა და ზოგადად სცენაზე ეს ხარვეზი მნიშვნელოვნად ივსება. მას დავესესებებ, სცენა საკუთარი თავის გამოვლენის თუ ვეფელაზე არაკომერციული ადგილიაო. და ეს უპირველესად თეატრის აკადემიური ღირსებების გამო...

— სანამ ამ ხარისხამდე მივალთ, გრძელ გზა გვაქვს გასავლელი. ასსოვს მაყურებელს რა დონეზე გვექონდა ჩვენს ხარისხი...

— საბჭოთა პერიოდზე აკეთებთ აქცენტს?

— დაახ. როცა, ცენზურის მიუხედავად, ბევრი რამ ითქმებოდა. და ერთ მშვენიერ დღეს ერთბაშად მოვედით ქინემატოგრაფია საქართველოში. დარჩენი ნიჭიერი მსახიობები რეჟისორების, რეჟისორები მსახიობების, თეატრალური კამერების გარეშე და ასე შემდეგ. ბოლო წლებია, ამ მხრივ პროგრესი

არის, თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ ეს იქნებ არ არის ის, რაც უნდა იყოს და რასაც ვემოციონებანს მიწვეული ვემოციონებანი მაყურებელი ითხოვს. მინდა მჯ-



ეროდეს, რომ ამ კუთხით დაწვეული ეს პროგრესი კიდევ უფრო პროგრესირებადი გახდება.

— "ღანიისკის" შვილიშვილი რამდენად "ღანიისკია"?

— ღანიისკის და სამტრედიისთან მთელი ჩემი ცხოვრება მაკავშირებს. ბავშვობიდანვე ეს კავშირი ძალიან ტკბილად მოსაგონარი გახლავთ. არ გაივლიდა ზაფხული, თუ ოჯახით არა, მე და ბაბუა აქ ჩამოვსულიყავით, თუნდაც, ორი დღით. სამტრედია ჩემი დედუღეთის მთავარი წერტილია. ჩვენს ოჯახში სამტრედიისა და ღანიისკის ხსენების გარეშე მართლა არ გადის არც ერთი დღე. ბაბუ სადაც მიდიოდა, სულ თან მიყავოდი.

მასხოვს ის პატარა სცენები სკოლის ეზოში, რაღაც თეატრალური ეპიზოდები რომ იდგებოდა. მე ისევე მიყვარს ღანიის და სამტრედია, როგორც ვქმალ ღალანიძეს.

— პასუხი, ალბათ, წინასწარ ცნობილია, მაგრამ სამტრედიის სცენაზე თუ ითამაშებდით?

— დამერწმუნეთ, გულწრფელად დიდი სიამოვნებით, თუ ეს შესაძლებელი გახდება, მეც და რაღაც თქმა უნდა, ბაბუც!

— თქვენი ყველაზე საყვარელი როლი ბაბუსა შესრულებით, რომლის თამაშსაც თავად იმუშავებდით?

— ყველა, "კაკასიური ცარცის წრედან" დაწვეული, მაგრამ გამოვარჩევილი "მაკბეტს". ბაბუ, ბატონი გოგი გვეჭკორი, გურამ საღარაძე... იმიტომ არა, რომ ბაბუაჩემია, უნიჭიერესი ადამიანია ვქმალის, კაცი, რომელმაც იცის, როდის რა უნდა გააკეთოს.

— რჩევა მსახიობს და რჩევა შვილიშვილს ვქმალ ღალანიძისგან?

— ჭკვიანი ადამიანის ყველა რჩევა ჭკვიანურია და ჭკვიანია, მაგრამ ბაბუ სწორად ამბობს მისი ასაკის გადმოსახედიდან, გული არაფერზე მწყდება, ყველაფერი თავის დროზე მომივლიაო. მარიგებს, არ იჩქარო, წინ არაფერს გაუსწრო, მაგრამ არც ჩამორჩე. აკეთე შენი საქმე ზედმიწევნით კარგად და არ შეეშალოს "ოქროს შუაულის" დაცვა არსად, არავისთან და არაფერში.

## მოავლისადმი პასუხისმგებლობით

საიდან დავიწყო? როგორ დავიწყო? მთელი სამი წელიწადი თხოვნა, დავალება, ხეწნა... ასე გრძელდება დაუსრულებლად, დაპირება... იშვიათად დაპირების შესრულება.

10 ნოემბერს გავაღე თუ არა მუზეუმის კარი, ჩავრთე სინათლე. გამომწვევად აინთო კერაზე ცეცხლი, აქით მოჩუქურთმებული საცხენე-ლი თავისი ატრიატებით, იქეთ ჯაჭვი საილენძის ქვაბითა და ჩოგანით.


თუ ზოგიერთი ექსპოზიცია სინარულს გვანიჭებს, ზოგი სევდითა და დარდით გვავსებს, აგერ სამკუთხა ბარათები... რომელთა გამომგზავნი უმეტესწილად არ დაბრუნებულან.

სინათლის ანთებისთანავე დარბაზში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა ხელში დასტა სურათებით, გულდაგულ დათვალიერა მუზეუმი, სურათები გადმოგვცა და დასძინა: აქ ყველაფერი სერიოზული ნამუშევარია, მეც მინდა ჩემი წვლილი შევიტანო ამ საქმეში და ეს ფოტოები თქვენი საუკარი იყოსო. გავიხარე და მთელი დღე ამ სინარულით ვმუშაობდი. კიდევ ყოფილან ადამიანები, რომელთაც აქვთ მომავლისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა. ეს ახალგაზრდა ფოტოხელოვანი გიორგი შენგელია აღმოჩნდა.

მეორე მოხალისე ქალბატონი ლენა ყვანიაა. იგი წლების განმავლობაში მელაურის სკოლის წარმატებული ღირექტორი გახლდათ. დამსახურებულ პენსიაზე გავიდა და მამისეულ სახლს ონტოფოში (აბაშის რაიონი) დაუბრუნდა. იქ კი ყველაფერთან ერთად ის მალალი ურემიც იყო, რომელსაც წლების განმავლობაში იყენებდა მისი მამა გივი ყვანია და მისი სიკვდილის შემდეგ სათუთად ინახავდნენ. მიუხედავად ბევრი მსურველისა, ურემი არაუფასო მიპყავდა, გადაწყვიტა, სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის გადმოეცა უსასყიდლოდ. ამ გადაწყვეტილებას სინარულით დაეთანხმა მისი ორი ვაჟი — გივი და ირაკლი აბუთიძეები.

მადლობა მათ და ყველას, ვინც ასეთ მზრუნველობას იჩენს სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისადმი.

**მელაური ცინცაძე**  
**მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე**



პველია და ვეთანხმები ბაბუს, რომ ჩარჩოში ჩასმა ნამდვილად სჭირდება ამგვარ ხელოვნებას!

— თვისება, რომელსაც თანამედროვე მსახიობები გადმოიღებდით კორიფე ქართველი თეატრალებიდან?

— ასეთი ძალიან ბევრია, მათი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე. პირველ რიგში იმას, რომ ისინი ერთი დიდი ოჯახი იყვნენ.

— გვარის დასახელება არც იყო საჭირო, მათი სახელების ხსენებაც საკმარისი გახლდათ, მიმხვდარიყავი, ვისზე იყო საუბარი. ვინმე რომ არ





# საქართველოში უმცირესობის უფლებების დაცვა

იოაკიმესა და ანას აღთქმა ჰქონდათ დადებული: თუ შეილი გაუნდებოდათ, უფლისადმი შეეწირათ იგი. როცა მარიამს სამი წელი შეუსრულდა, მშობლებმა განზრახვის სისრულეში მოყვანა გადაწყვიტეს. უხმეს ნათესაებს, ბრწყინვალე სამოსით შემოსეს მარიამი და გალობითა და სანთლებით ხელში მიიყვანეს იერუსალიმის ტაძარში.

ღვთისმშობელი მღვდელმთავარი ზაქარია გამოეცხა სამღვდლოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

ზევარდმო ძალით პატარა მარიამმა სწრაფად აიარა თხუთმეტსაფეხურიანი კიბე და ტაძარში შევიდა. პირველმა მღვდელმთავარმა, უფლის შეგონებით, იმ წმინდათა წმიდა საკურთხეველში შეიყვანა ბავშვი, სადაც წელიწადში ერთხელ სამღვდლოთაგან მხოლოდ მას ჰქონდა შესვლის უფლება.

გაოცებას ვერ მალავდნენ ტაძარში მყოფნი ამ არაჩვეულებრივი მოვლენის გამო. მარიამი ტაძარში დატოვებს მშობლებმა, თავად კი სახლში დაბრუნდნენ.

ქალწულთა სამყოფელში დარჩა მარიამი ტაძარში.

4 დეკემბერს (21 ნოემბერი ძველი სტილით) ეკლესია ღვთისმშობლის ტაძრად მიეყვანა დღესასწაულობს. ღვთისმშობელმა დაიცვა და გააძლიეროს მისი წილხვედომილი საქართველო, ქართველი ერი!

ლევან ბაქრაძე



# ისევ იმ სიყვარულით

რაჭაში, ონში ბოლშევიკებმა სინაგოგის დარღვევა განიზრახეს, მაშინ აკუნებთ ქართველი ჩვილები და ღვთისმშობლის ხელში ხალხის სალოცავის ხელფოფის საშუალება არ მისცეს.

ვაზის დაავადება გავრცელდა საქართველოში გასული საუკუნის მიჯნაზე. ებრაელებამ დიდძალი თანხა შეაგროვა ქართველებისათვის ამ ღვთიური, უძველესი კულტურის გადასარჩენად.

ახალი, უიშვიათესი ჯიშის ვაზის ნერგები შემოიტანეს საქართველოში იმ ფულით.

შორს წაგვიყვანს ქართულ-ებრაული კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობების ცალკეულ მაგალითებზე საუბარი.

სამ საუკუნეზე მეტხანს ცხოვრობდნენ კულაში ებრაელები. კაცურკაცობით სცნობდნენ სამტრედიის ექიმ აბრამ ელიშაყაშვილს.

მისი ვაჟიშვილი მენაჟე (ბუჭუნა) საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული იყო.

გაზეთ "წინსვლას", "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში განვლო მან გზა კორესპონდენტობიდან რედაქტორობამდე.

დღესაც საინტერესო საკითხავი და აღსაქმელია მის მიერ გამართული ქართული, სადად, ლაკონურად მომზადებული საგაზეთო ინფორმაციები, ნარკვევები, კრიტიკული წერილები, იმთავითვე რომ იპყრობდნენ მეთხველთა ფურადლებას.



ქართულ-ებრაული მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის მეხოტბე იყო ჩვენი ებრაელი კოლეგა.

როცა გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული ურთულესი კრიმინოგენური ვითარებისას, მის ოჯახსაც "ქვეყნის დაუპატიჟებელი სტუმრები" და რომ იტყვიან, სულთით ზორცამდე გაძარცვეს, საყოველთაო ვითარების გამოძახილად აღიქვა ყოველივე და არამც და არამც არ განუხილია იგი დაპირისპირებად ქართველებსა და ებრაელებს შორის (პრინციპში ასეც იყო).

ძნელი, მძიმე, სევდიანი იყო კოლეგასთან განშორების წუთები. აღთქმულ მიწაზე, მშობლიურ ისრაელში წავიდა ბუჭუნა.

წავიდა და წავიდა.

მას შემდეგ, სამწუხაროდ, მისგან არც კოლეგებს, არც ნაცნობებს არაფერი გვსმენია(!)

თანამედროვე კომუნიკაციებიც (ინტერნეტი) უძლეური აღმოჩნდა ამ კუთხით.

თბილისი მოგონებები კი ჩვენს ებრაელ კოლეგაზე ხსოვნაში, მეხსიერებაში დაილექა და...

მის ერთ-ერთ ზონელ ნაცნობს შევხვდი ამ დღეებში, რომელსაც, ისე როგორც ჩვენ, ვერაფერი შეუტყვია თურმე მისი კარგი ნაცნობის შესახებ. ორმოცდაექვსიანები ვართ ორივენი, მითხრა მან.

ასეც ვიცოდით.

მამასადაძმე, წლებიანდელი წელი საიუბილეო ყოფილა ბატონი ბუჭუნასათვის.

70 წლის იუბილეს ვულოცავთ მას, ისევე იმ პატივისცემით, ისევე იმ სიყვარულით, აქ რომ ერთმანეთთან გვაკავშირებდა.

ლევან ბაქრაძე

# დახლა გოგონათა საზოგადოებრივი სტუდია

მათი ცხოვრების შემოდგომაზე დამდგარა, ძირს შარიშურით ეცემა ხმელი, ყვითელი ფოთოლი, ამ ადამიანების ახალგაზრდული შემართება, ენერჯია, ინტელექტუალური წარსული დროის ქარიშხალმა ყვითელი ფოთლებით მოხვეტა, "ავობს ბებერი ქარი", ახლა ბოგრაფიის ოდენ განსხვავებით იფარგლებიან მოხუცები იმ სახლში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნოების სახლი" რომ ჰქვია. დღეს აქ 20 მოხუცია, ოცივე თავისი ისტორიით და მოგონებებით სულდგმულობს. ზოგმა პედაგოგის ურთულეს პროფესიას ანაცვალა ახალგაზრდობა და ახლა "სათნოების სახლის" კედლებში ატარებს სიჭარბაგის დღეებს, ზოგს შვილიშვილებიც მოინახულებენ ხოლმე... მოხუცებს მზრუნველობა არ აკლიათ აქაურთაგანაც, ხელისუფლების წარმომადგენლების, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისაგან თუ სხვადასხვა დაწესებულებებისაგან.

ამჯერადაც შემოდგომის სურნელი დაატრიალეს დაბლა გომის საჯარო სკოლებმა (დირექტორი ომარ ჩაჩუა) "სათნოების სახლის" კედლებში. მხოლოდ ბარაქიანი ქართული შემოდგომის ჭირნახულით არ შემოიფარგლნენ მე-2, მე-3 კლასის მოსწავლეები. თამარ გოთონელია და ინგა ხაბეიშვილის ხელმძღვანელობით მომზადებულმა დონისძიებამ კმაყოფილების ცრემლი მოჰკვარათ მოხუცებს. სუფრა ხილითა და ტკბილეულით აი-



ვსო, ბარაქიანია ქართული სოფელი, იმერული კეცის მჭადის და ყველის სურნელიც დატრიალდა, მოსწავლეების თქმულ ლექსებში ქარვისფერი სიმშვენიერი წარმოჩინდა, ქართული ლექსი მაჭარავით აუხუნუნდა... შემოდგომის თემატიკაზე შერჩეული ქართველ კლასიკოსთა შედევრები პატარებს ბრწყინვალედ შეუსწავლიათ, მათი პირველი შემფასებელი 85 წლის რუსუდან სტურუაა, პროფესიით ფილოლოგი, რომელსაც წლების განმავლობაში არაერთი თაობა უზიარებია ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებას. მოხუცებმა პატარები მათივე მორთმეული ღვინითა და დოლოცეს და ყოველივე საუკეთესო უსურვეს. 82 წლის ევგენია სილაქონიძე კმაყოფილებას ვერ ფარავდა და როგორც პედაგოგებს, ისე მშობლებს უდიდესი მადლობა გადაუხადა.

პატარები, პედაგოგები და მათი მშობლები დალოცა "სათნოების სახლის" დირექტორმა მამა შიომ (ჭაფოძე), მათ დამდეგი გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და წარმატებები უსურვა.



ნათია ნაცვლიშვილი





# "ჯახგები ჟი ახა, ძაღიან ჟახგები ახიან"

## ქათიჟან ჟალიძე

წელს უკვე მეორედ შეიკრიბნენ თავისუფალი სტილით მოჭიდავეები დაბა კულაშში. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ღია პირველობაზე შეჯიბრს შარშან ჩაეყარა საფუძველი. მასში დასაველეთ საქართველოს რეგიონის სპორტსმენები მონაწილეობდნენ: ქუთაისის სამი, ხონის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ბაღდათის, ზუგდიდის, ჯვრის, ფოთის, ბათუმისა და სამტრედიის გუნდები.

ღია პირველობაზე თავისუფალ ჟიდაობაში 2000-2002 და 2003-2005 წლებში დაბადებული 150 სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრებას სამი საერთაშორისო კლასის არბიტრი მსაჯობდა. როგორც ყოველთვის, სამტრედიელებმა სხვადასხვა წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეჟეს. პირველი ადგილი 23 კილოგრამ წონით კატეგორიაში შოთა შენგელიამ მოიპოვა, მესამე ადგილი ისევ სამტრედიელმა, გიორგი ჯიბაშვილმა და თორნიკე სიხარულიძემ გაიყვეს.

32 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი

ოგრამ წონით კატეგორიაში საბა იობაძე, მესამე ადგილიც სამტრედიელ საბა სუნცივს ერგო. 47 კილოგრამ წონით კატეგორიაში სამტრედიელმა ოთ-



არ ადვილმა იმარჯვა და პირველი ადგილი დაისაკუთრა. პირველ ადგილზე გავიდა 53 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვალერი ბოხუა, მესამე ადგილის მფლობელი კი თამაზ ნიკოლეიშვილი გახდა.

ვახტანგ სიხარულიძემაც პირველი ადგილი მოიპოვა 50 კილოგრამ სპორტსმენთა შორის. 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლუკა კვიციანიც პირველ ადგილზე გავიდა.

58 კილოგრამ წონით კატეგორიაში კობა გოგიბერიძემ მეორე ადგილი დაისაკუთრა. ამჟამად კატეგორიაში პირველი და მეორე ადგილები სამტრედიელმა დემურ თევზაძემ და ლუკა გეგეშიძემ მოიპოვეს. მესამე ადგილი გაინაწილეს 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლუკა ხუჭუაძე და მიხეილ ბოლქვაძემ.

85 კილოგრამ წონით კატეგორიაში ისევ სამტრედიელმა თორნიკე ჩხაიძემ აიღო პირველი ადგილი. 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში კი პირველი ადგილი ელგუჯა ბალანჩივაძემ არავის დაუთმო, ხოლო მესამე ადგილი გიორგი კვანციბერი ხვდა წილად.

ჩემპიონატში წარმატებით იასპარეჟეს ქუთაისელმა, ფოთელმა, ხონელმა, ლანჩხუთელმა, ჩოხა-



ადგილის მფლობელი სამტრედიელი ნიკა სიხარულიძე გახდა. აქაც მესამე საპრიზო ადგილებზე



სამტრედიელები სოსო მეფარიშვილი და თემურ სტურუა გავიდნენ.

35 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი ილია ჩხაიძემ დაიკავა. 38 კილო-



რამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე ლუკა ჩაგუნავა გავიდა, ხოლო მესამე ადგილი წილად მურმან იობაძეს ხვდა.

პირველი ადგილის მფლობელი გახდა 42 კილო-

ტურელმა და ზუგდიდელმა სპორტსმენებმა. კატეგორიების მიხედვით მათ სხვადასხვა საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს. გამარჯვებული სპორტსმენები თასებით, მედლებითა და დიპლომებით მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიან ფოცხვერიამ დააჯილდოვა. ჯილდო მათ საერებულოს თავჯდომარემ ნუგზარ ჯამბურამ, მისმა მოადგილემ კობა მიძიგურმა, გამგებლის მოადგილეებმა დავით ბახტაძემ, ლიზა კრავიშვილმა, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ, მსოფლიო ჩემპიონმა ვეტერანთა შორის ბადრი შენგელიამ, საერებულოს წევრებმა, მერაბ ულრელიძემ, ჯონი ახობაძემ, დავით ამაღლობელმა, ხვიჩა ფანცულაიამ და ვაჟა სტურუამაც გადასცეს.

"კარგი შედეგები აჩვენეს სპორტსმენებმა. ეს ჩვენი მომავალი თაობაა, რომელთაც შეუძლიათ მომავალში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიონ. კარგები კი არა, ძალიან კარგი ბავშვები არიან". – თავისი შეხედულება გაავიხარა საქართველოს 23 წლამდე ნაკრების მწვრთნელი გონა კირიტიძემ.

"ჩემი მწვრთნელები ბიძინა მელაშვილი და ზაზა არქანიასი. ისინი ჩემი გულშემოტიკვრები და მეგობრებიც არიან. მათი დასახურება ჩემი წარმატებები. ვიბრძოლე იმისთვის, რომ ჩემი მწვრთნელები, ჩემი ოჯახი გამეხარებინა, სამტრედიისთვის გამარჯვება მომეტანა." – გვითხრა ელგუჯა ბალანჩივაძემ.

"ტრადიციული სამტრედიელი ტურნირია, სადაც მონაწილეობას სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები იღებდნენ. შეჯიბრება 20 წონით კატეგორიაში ჩატარდა და ჩემთვის სასი-



რად გაუშვეს? რას ერჩოდნენ? გული დაგეწყდა ხადურზე, აწი ლარზე სიმღერები, დაამღეროს ფანდურზე.

### ლევან გავაჩავას!

ჩვენი რედაქციის იუმორის მამას, უხადო ორატორს, შესანიშნავ კალმოსანს, ღირსების მედლის კავალერს, ლევან გაბეჩავას დაბადების დღეს ვულოცავთ, გვარავდეს უფალი!

*"სამტრედიის მაცნე"*



გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელ მდივანს, ლევან გაბეჩავას ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. 2017 წელი ყოფილიყოს თქვენთვის ბედნიერების მომტანი.

*სამტრედიის მუშაკანთა კავშირის გამგეობა*

## კულოცავთ!

### ბატონ გიორგი ლეჟავას!

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ, იხარეთ და იღვებრძელეთ, გვარავდეთ უფალი.

*მუშაკანთა რაიონული კავშირი*

დიდი პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს. კარიერული და ოჯახური წინსვლა დაგებრძოთ.

*"სამტრედიის მაცნე"*

მოხნოა, რომ ყველაზე მეტი საპრიზო ადგილი სამტრედიელებმა მოიპოვეს. საკმაოდ კარგი შემადგენლობებით იყვნენ მოჭიდავეები წარმოდგენილები, მაგრამ მასპინძლებმა თავი გამოიჩინეს. სამტრედიის ტრადიციულად ძლიერი საჭიდაო სკოლა გვაქვს, გვაყავს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ-

ნიციპალიტეტებიდან ძალიან ბევრი მსურველი აღმოჩნდა, ღია ჩემპიონატში ეასპარეზა. 150-მა ახალგაზრდამ აჩვენა თავისი შესაძლებლობა. სამტრედიელებმა ამჯერადაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი. აბსოლუტური ჩემპიონიც გვაყავს. ასეთი დონისძიებები კარგი მოტივაციაა, ახალგაზრდებმა ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრონ".

ტურნირის მაღალი შეფასება მისცა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა თავისუფალ ჟიდაობაში ვეფხია სტურუამ: "როგორც ყოველთვის, სამტრედიელმა თავისუფალ სპორტსმენებმა ამჯერადაც გამოიჩინეს თავი და წარმატებულადაც იასპარეჟეს. მინდა მადლობა გადაუხადო სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას და საერებულოს ტურნირის ფინანსური მხარდაჭერისთვის, საჭიდაო კლუბ "ფალავანის" დირექტორს ირაკლი მელაშვილს და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მწვრთნელებს: ბიძინა მელაშვილს, ზაზა არქანიას,

უბი ახალგაზრდებს შორის, ოლიმპიური პრიზიორი აკაკი ჩაჩუა, გვაყავს ჟიდაობის კორიფე ვახტანგ ბალაძე... ეს ტრადიცია გრძელდება, სამტრედიის გამგეობა ჩვენი სპორტსმენების გვერდით დგას". – განწყობას გვზიარებს მუნიციპალიტეტის გამგეებელი ვალერიან ფოცხვერია.

როგორც ქალბატონი ნატალია მანჯგალაძე გვეუბნება, ტურნირმა სამტრედიის ტრადიციული ხასიათი მიიღო: "იგი გამგეობის ეგიდითა და საჭიდაო კლუბ "ფალავანის" დირექტორის ირაკლი მელაშვილის უშუალო ორგანიზებით ეწყობა. შარშან მასში გორელი მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ. წელს დასაველეთ რეგიონის მუ-



ლაშა სტურუას, მალხაზ მხეიძეს, სილიბისტრო ანდრულაძეს, რამაზ ჯულაყიძეს, რომლებიც თავიანი მოსწავლეებთან მონაწილეობდნენ აღნიშნულ ჩემპიონატში. სწორედ ასეთ ტურნირებზე იხრდებიან მომავალი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები".

რედაქციის მისამართი: სამტრედიის რესპუბლიკის ქ. №6 ტელ: 790 391839



დირექტორი ბაჟან გოგია

მთავარი რედაქტორი ქათიჟან ჟალიძე  
გამომშვეები რედაქტორი თამაზ ბაბუნაშვილი  
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა  
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე